

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი



სახელოვნებო მეცნიერებების, მედიის და მენეჯმენტის ფაკულტეტი

ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულება

ლილი მამაცაშვილი

ალექსანდრე როინაშვილის შემოქმედება და მისი როლი სამუზეუმო-საარქივო

მემკვიდრეობის შექმნაში

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის (PhD)

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ნატო გენგიური

თბილისი

2017

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიის და მენეჯმენტის ფაკულტეტზე

სადოქტორო პროგრამა:  
ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევები,  
ხელოვნებათმცოდნეობა,  
ქვედარგის კოდი 100707

ავტორის ხელმოწერა -----

თარიღი

----- დაცვის

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნატო გენგიური, ხელოვნებათმცოდნეობის  
დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

სახელი გვარი -----

(სამეცნიერო ხარისხი, თანამდებობა)

სახელი გვარი -----

(სამეცნიერო ხარისხი, თანამდებობა)

ექსპერტები

ეკატერინე კიკნაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფესორი

(სამეცნიერო ხარისხი, თანამდებობა)

სახელი გვარი -----

(სამეცნიერო ხარისხი, თანამდებობა)

### კვლევის მიზანი

ალექსანდრე როინაშვილის შესახებ კვლევა, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მრავალმხრივი მნიშვნელობის მატარებელია და გარდა ამისა, ავლენს XIX საუკუნის ქართული ცნობიერების განვითარების რთულ და გადამწყვეტ ისტორიულ გზას.

მისი შემოქმედება თავისთავად ამ ეპოქის ცოცხალი სახეა, ვინაიდან როინაშვილმა გადაიღო და შემოუნახა თაობებს ფოტოგრაფიული მემკვიდრეობის სახით სინამდვილე, რომელსაც ქართული საზოგადოებისა და კულტურის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთანავე, მუზეუმი, როგორც ერის სახის მაჩვენებელი, მისი ისტორიისა და დღევანდლობის ცნობიერების განმსაზღვრელი, როინაშვილის ერთ-ერთი უპირველესი ინტერესი იყო და ფაქტობრივად მისმა მოღვაწეობამ, შეიძლება განაპირობა კიდევ ის დიდი ძვრები, რაც მუზეუმისადმი დამოკიდებულებაში გამოიხატა შემდეგ.

ჩემი კვლევის მიზანია, შევისწავლოთ როინაშვილის, როგორც საზოგადო მოღვაწის, თანაბარი მნიშვნელოვანი მისიისაგან შემდგარი პიროვნება: ერთი ფოტოგრაფია, რომელიც მატანეს სახით ქმნის ეთნოგრაფიულ, კულტურულ და ისტორიულ ღირებულებას, ხოლო მეორე სამუზეუმო საქმე, რომელიც პირდაპირი მაჩვენებელია ერის ინტელექტუალურ - ზნეობრივი მრწამსისა.

გარდა ამისა, ალექსანდრე როინაშვილი უტყუარი ალღოთი გრძნობდა ეპოქის მიერ შემოთავაზებულ აუცილებლობებს: მისი მოღვაწეობა ყველგან, ნებისმიერ სოციალურ და სახელოვნებო სფეროში, სწრაფად წარიმართა. შემთხვევითობამ დააკავშირა ის ფოტოგრაფიასთან, თუმცა ეს საქმიანობა როინაშვილის მხრიდან, საერო საქმედ გარდაიქმნა. ინტერესმა მიიყვანა ის სიძველეების შეგროვებამდე და საბოლოოდ ეს ინტერესი სამუზეუმო საქმის ინიციატორად გადააქცევს მას, თანაც საქმის, რომელსაც საკმაოდ უჩვეულო ფორმას მოუძებნის - კავკასიის მოძრავ მუზეუმს შექმნის. ქვეყნის

სიყვარულმა და ერთგულებამ დააწყებინა როინაშვილს სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობა და მეცენატობაც.

მისი მემკვიდრეობის კვლევა არ გახლავთ იოლი, ვინაიდან, როგორც კვლევის პროცესმა მიჩვენა, გაფანტული და დაკარგული ნაშთების რაოდენობა, საკმაოდ დიდია. ასევე ბევრი რამ იკვეთება ისტორიაში, რაც დოკუმენტების მიხედვით, კითხვებს და მოსალოდნელ დასკვნებს ბადებს.

ცალკე აღინიშნა შრომაში, როინაშვილის, როგორც პირველი ქართული ფოტოგრაფიული სკოლის შემქმნელისა და ქველმოქმედის საქმიანობა, რამაც თავის მხრივ, დიდი სამსახური გაუწია მომავლის ფოტოგრაფიას. მისი აღზრდილების დიდი ნაწილი მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში. ის ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა სკოლებისა და ბიბლიოთეკების საქმეს. საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გვერდიგვერდ, ზრუნავდა მოსახლეობის გონებრივ ზრდაზე, ყიდულობდა ბიბლიოთეკებისათვის წიგნებსა და აუცილებელ ინვენტარს მთელი ქვეყნის მასშტაბით. შრომაში ყურადღება გამახვილდა, ასევე როინაშვილის კრიტიკულ პუბლიცისტურ მოღვაწეობაზე, სხვადასხვა სოციალურ სფეროში და რეზონანსზე, რაც მისმა გარდაცვალებამ გამოიწვია კავკასიასა და საქართველოში.

შედეგად მიღებული დასკვნები, გამოიკვეთა ალექსანდრე როინაშვილის მოღვაწეობის კონკრეტული შეჯამებისას, სადაც დგინდება მისი, როგორც შეუცვლელი და გარკვეულ ეპოქალურ გარდამტეხ ეტაპზე გამოჩენილი მნიშვნელოვანი პიროვნების ნაღვაწი.

**კვლევის ამოცანებია** შეიქმნას ალექსანდრე როინაშვილის მუზეუმისთვის განკუთვნილი კოლექციების და მისი ფოტოგრაფიის მნიშვნელობის ამსახველი შრომა, რომელიც თავის მხრივ, მკვლევარებს და ისტორიკოსებს, ხელოვნებათმცოდნეებს, კავკასიის ყოფა-ცხოვრების იმდროინდელ სინამდვილეს გააცნობს. გარდა კავკასიურისა, კოლექციაში შენახულია კავკასიის ტერიტორიაზე მოპოვებული არაბული, სპარსული, ებრაული, ჩინური, იაპონური, რომაული, ესპანური ნივთები. ნებისმიერ ქვეყანაში, ასეთი აღმოჩენები დიდი კვლევითი რეზონანსის საბაზი ხდება. ალექსანდრე როინაშვილი საქმის ღრმა ცოდნით და

მიზანდასახულად აგროვებდა ნივთებს და ქმნიდა ფოტოარქივს, რომელმაც ისტორიის ვიზუალიზაცია მოახდინა - თემის ერთ-ერთი ამოცანაა, წარმოაჩინოს ამ მასალის მნიშვნელობა, თუ როგორ გაიზარდა კავკასიური მუზეუმის აქტუალობა, დროსთან ერთად. ალექსანდრე როინაშვილის მოძრავი მუზეუმი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ პირველ კერძო მუზეუმად კავკასიაში. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ, როინაშვილის მუზეუმს შეუცვლელი საგანმანათლებლო მისიაც ეკისრება. თავად ფორმა მოძრავი მუზეუმისა, კავკასიაში ერთადერთია, რაც განაპირობებს კიდევ მის ერთგვარ უნიკალურობას. როინაშვილის მდიდარი დანატოვარის კვლევა, ბევრად უფრო ღრმა და ანალიტიკური უნდა გახდეს. წორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ინტერესი მისი შემოქმედების, კოლექციების, ფოტოარქივის მიმართ.

მისი სამუზეუმო საქმიანობის, მისი კოლექციების, სიახლე და აქტუალობა იზრდება იმასთან ერთად, თუ როგორ მიმდინარეობს მათი აღწერა და კვლავ სააშკარაოზე გამოტანა. ეს მასალა, თავის მხრივ მეტყველებს საქართველოს მრავალმხრივი ეროვნული კულტურის და ამ კულტურაში შემოსული სხვა ეროვნული მემკვიდრეობის შესახებ.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო, ალექსანდრე როინაშვილის მიერ მისივე მოძრავი კავკასიური მუზეუმისათვის შეგროვებული ისტორიულ-არქეოლოგიური ნივთების შეძლებისდაგვარად მოძიება და იდენტიფიცირება.

## **კვლევის აქტუალობა**

ალექსანდრე როინაშვილი სამუზეუმო კოლექციების ერთ-ერთი პიონერია საქართველოში, რომელმაც მთელი თავისი ნაღვაწი საკუთარ ერს დაუტოვა. მან ერთ-ერთმა პირველმა გააცნობიერა მუზეუმის დანიშნულება. ამ კუთხით, პირველი ქართველი ფოტოგრაფის და სამუზეუმო ნივთების კოლექციონერის შემოქმედება, ჯერ არ ყოფილა გამოკვლეული. ეთნოგრაფიული ფასეულობები, სამუზეუმო ნივთები, ეპოქის სახე - ყოველივე ეს აისახება რეზონანსზე, რომელიც კვლევას მოჰყვება. მისი დასრულებისთანავე გაჩნდება აზრთა სხვადასხვაობა, რაც საშუალებას მოგვცემს, კიდევ ერთხელ განვიხილოთ სამუზეუმო მეცენატის საქმიანობა ახალი კუთხით. ფაქტია, რომ ქველმოქმედებამ მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში დიდი როლი ითამაშა.

ალექსანდრე როინაშვილის შემოქმედების კვლევას, ხელი შუწყო ბესარიონ ტაბიძის მონოგრაფიამ მის შესახებ, ასევე პრესისა და პერიოდიკის ბეჭდურმა მასალამ, საარქივო და სხვადასხვა სამუზეუმო მასალებმა, საჯარო ბიბლიოთეკაში არსებულმა, როინაშვილის მცირე სამუზეუმო კატალოგმა. თუმცა, დღემდე, მისი შემოქმედებისა და საქმიანობის ანალიტიკური, ერთიანი კვლევა, რომელიც მოიცავდა სამუზეუმო კოლექციებისა და ფოტომემკვიდრეობის იდენტიფიცირებასაც, ჯერჯერობით არ ჩატარებულა. წინამდებარე შრომა სწორედ ამ მიზნით განხორციელდა, მასში თავი მოიყარა იდენტიფიცირებულმა ფოტო და სამუზეუმო მემკვიდრეობამ.

არსებული თემის დამუშავებისას, გაირკვა და გამოაშკარავდა უამრავი სიახლე, აქამდე დაუდგენელი მასალების კუთვნილება და მათი მნიშვნელობა დღევანდელი კულტურული მემკვიდრეობის სპექტრში. დადგინდა და გამოიკვეთა ის, თუ თემატურად რა მიმართულებებით ვითარდებოდა როინაშვილის ფოტომემკვიდრეობა, სადაც თავს იყრიდა იმხანად, ფოტოგრაფიაში არსებული ტრადიციული ჟანრები და ფორმები. ქალაქების, ისტორიული ძეგლების და მათი დეტალების, საქართველოსა და კავკასიის ხედების, ყოფის, გამოჩენილ ადამიანთა და საოჯახო პორტრეტების მომცველი მდიდარი ფოტოკოლექცია, დღეს, წინამდებარე შრომაში იყრის თავს, როგორც მასალა, რომელიც თხოულობს შეფასებებს. მათი სისტემატიზირება შრომატევადი საქმე იყო, თუმცა კვლევის ხარისხისთვის აუცილებელი.

რაც შეეხება სამუზეუმო კოლექციებს, მათი სხვადასხვაგვარობა და მათი იდენტიფიცირების პროცესი, ასევე ხარისხობრივად მაღალ საფეხურს მოითხოვდა, ვინაიდან შრომაში თავმოყრილი სამუზეუმო მასალა, სრულიად უნიკალური ხასიათისაა, თავისი მრავალფეროვნების წყალობით. ამ სისტემატიზირებამ, მოგვცა საშუალება, კვლევა ახალ რანგში წარმოგვეჩინა - სამეცნიერო - ანალიტიკურ და მასალის იდენტიფიცირების მიმართულებით.

ალექსანდრე როინაშვილი, როგორც ფოტოგრაფი, კავკასიის ერების, ყოფისა და ისტორიის მატთანეს შემქმნელი იყო. გარდა კავკასიურისა, ის მოიპოვებდა ისლამური, ევროპული, ჩინური, იაპონური ყოფისა და კულტურის ნაშთებს. მისი ფოტოგრაფია, გარდა ისტორიული მნიშვნელობისა, მხატვრული ღირებულების მატარებელია. ინტერესი ამ ორი ძირითადი მახასიათებლის მიმართ იზრდება, ვინაიდან დროსთან ერთად სულ უფრო იკვეთება მათი

მნიშვნელობა. ალექსანდრე როინაშვილის თითოეული ქმედება გამიზნული იყო ეროვნული და კავკასიური კულტურის ისტორიის პოპულარიზაციისათვის.

ალექსანდრე როინაშვილის სამუზეუმო კოლექციები აქტუალურია რამდენიმე მიზეზის გამო: როინაშვილის სამუზეუმო კოლექციები წარმოადგენს სამეცნიერო-ისტორიულ ფასეულობას, რომლის ძირეული კვლევაც აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობისთვის. ეს დანატოვარი დღემდე შესწავლის საგანია. მასში იკითხება მრავალეთნიკური კულტურის ნიშნები და კავკასიელი ერების ყოფის ამსახველი ექსპონატებიც. ალექსანდრე როინაშვილი საქმის ღრმა ცოდნით და მიზანდასახულად აგროვებდა ნივთებს, ქმნიდა ფოტოარქივს, რომელმაც ისტორიის ვიზუალიზაცია მოახდინა - თემის ერთ-ერთი მიზანია, წარმოაჩინოს ამ მასალის მნიშვნელობა, თუ როგორ გაიზარდა კავკასიური მოძრავი მუზეუმის აქტუალობა, დროსთან ერთად.

კვლევა საშუალებას გვაძლევს, წინასწარ განვჭვრიტოთ, როინაშვილის მემკვიდრეობის ანალიზის როლი, სამუზეუმო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში, მომავლის პერსპექტივით, ვინაიდან დროის ცვალებადობასთან ერთად, ფასეულობის დონე სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

კავკასიასა და საქართველოში, ამ მოვლენას - როინაშვილის ფოტო და სამუზეუმო საქმიანობას, პრეცედენტი არ გააჩნდა. შესაბამისად, მისი მნიშვნელობა უფრო მეტად იყო მომავალზე გათვლილი, ვიდრე ერთ კონკრეტულ დროით მონაცემზე.

წინამდებარე შრომა, რომელიც თითქმის მთლიანად მოიცავს ამ საქმიანობის შედეგებს, ბადაებს თავის მხრივ, მომავლის პერსპექტივებს სამეცნიერო კვლევასა და ისტორიულ წიაღსვლებში.

გარდა თეორიული მასალისა, რომელსაც გამოიყენებენ მეცნიერები, მკვლევარები, არსებობს ვიზუალური მასალაც, რომელიც ნებისმიერი მიმართულებით შეიძლება იყოს გამოყენებული, საგანმანათლებლო ფუნქციის შესაბამისად.

ფოტოგრაფიით, მისი ისტორიით დაინტერესებულმა მკვლევარებმა, ამგვარი თავმოყრის საფუძველზე, მიიღეს სრული სურათი იმისა, თუ როგორ ვითარდებოდა ფოტოგრაფიული და სამუზეუმო საქმიანობა საქართველოსა და კავკასიაში, როინაშვილის მდიდარი კოლექციის მაგალითზე.

## კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევის ობიექტის - ალექსანდრე როინაშვილის, როგორც შემოქმედის, მოღვაწის, მოძრავი მუზეუმის შემქმნელის, მისი გაკეთებული საქმეების სათანადო წარმოჩენისა და მნიშვნელობის განსაზღვრის ამოცანებმა, განაპირობა კვლევის მეთოდოლოგიის მრავალფეროვნება - ბიოგრაფიული კვლევის, საარქივო და სამუზეუმო მასალების, წყაროების მოძიებისა და ლიტერატურის გაანალიზების, ჟანრობრივი კლასიფიცირებისა და სხვა მეთოდების გამოყენება.

კვლევა მოითხოვდა ზოგადად სამუზეუმო საქმის განვითარების შესწავლას საქართველოში. როინაშვილის საქმიანობა იწყება იმ დროს, როდესაც სამუზეუმო საქმეს საფუძველი ეყრება და ვითარდება. მისი მოღვაწეობის შედეგად, იქმნება კავკასიის მოძრავი მუზეუმი, ჩნდება და იკვეთება მუზეუმის საგანმანათლებლო ფუნქცია. ყველაზე რთული და მთავარი ეტაპი მოიცავს როინაშვილის სამუზეუმო ნივთების მოძიებას, შესწავლას, აღნუსხვას და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის თავმოყრასა და სისტემატიზირებას. ასევე, ფოტომემკვიდრეობის იდენტიფიცირების რთულ პორცესს. ეს საფეხურები, თავისთავად ბევრ წინააღმდეგობას გულისხმობს, ამიტომ, მასში გაერთიანდა მეცნიერთა ჯგუფი, რომელთა ხელშეწყობითაც მოხერხდა მრავალი ნივთის წარმომავლობისა და დათარიღების დადგენა.

შრომის გაანალიზების ობიექტი ასევე გახდა ალექსანდრე როინაშვილის პუბლიცისტიკა, რომელიც იმ პერიოდის საქართველოსათვის მნიშვნელოვან სფეროებს ეძღვნება: გლეხთა საკითხებს, ქალთა საზოგადოებრივ ფუნქციებს, ტრადიციულ ხელსაქმეს, თავად-აზნაურობის პრობლემებს, ასევე მიმართვებს ინტელიგენციისადმი და სამუზეუმო საქმეს.

ალექსანდრე როინაშვილის მემკვიდრეობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც ასევე კვლევის ერთ-ერთ ობიექტად იქცა, თანმიმდევრულად იქნა შესწავლილი, რაც შრომაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და საშუალებას გვაძლევს, ამ ფონზე განვიხილოთ ყოველივე, რაც ერთიან, მთლიან სურათს შექმნის მისი ფოტოგრაფიული და სამუზეუმო საქმიანობის შესახებ ეპოქაში, რომელიც თავის მხრივ, განსაზღვრავს შემდგომი



პერიოდისთვის აუცილებელ პრიორიტეტებს კულტურასა და ისტორიაში. ამგვარი მიება დიდ ფუნდამენტს ქმნის, ზოგადი და ასევე კონკრეტული ეპოქალური ძვრების შესახებ.

რა თქმა უნდა, დაუსრულებელი სურათიც და ბოლომდე დაუდგენელი კვალიც არსებობს, თუმცა ეს ნებისმიერი მიების თანმდევი მოვლენაა. და მიუხედავად ამისა, ძირითადი ნაწილი, ობიექტები ჩანს, იქმნება როინაშვილის, როგორც საზოგადო მოღვაწის, ფოტოგრაფიული მატთანეს შემქნელის, სამუზეუმო საქმის ინიციატორის, ქველმოქმედისა და მეცენატის, პუბლიცისტის პორტრეტი.

საქართველოში ფოტოგრაფიის დამკვიდრებისა და განვითარების ძირეული საფეხურების გაანალიზებისას, ნათლად გამოჩნდა ევროპაში არსებული პროცესების საქართველოში შემოსვლა და ამ ხელობით დაინტერესების გზა, რომელიც საბოლოოდ ხელოვნების დარგად იქცა. ფონი, რომელიც ფოტოგრაფიამ შექმნა, იმ განსაკუთრებული პერიოდისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ფოტოგრაფიამ საკუთარ თავზე აიღო მემატთანის ფუნქცია თითქმის ყველა დარგში, რაც კი არსებობდა იმხანად: ისტორია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ფრესკებისა და სხვა ფასეულობათა ასლები, ტრადიციები, ხელოსნობა, ქალაქური ყოფა, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, გეოგრაფია, მედიცინა, ანატომია, კრიმინალური ქრონიკა ფლორა და ფაუნა, სხვა ქვეყნების რეალობა, სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრებები, და სხვ. ამ მიმოხილვაში, დაკონკრეტდა, თუ როგორ გარდაიქმნა ფოტოგრაფია ხელოვნების დარგად და გაჩნდა სხვადასხვა ჟანრები, როგორ გაითავისა ამ დარგმა სახვითი ხელოვნების სპეციფიკა.

შემდეგი ობიექტი, ალექსანდრე როინაშვილის პიროვნების მნიშვნელობის გამოკვეთა და შესაბამისად, ამ მოვლენისთვის აუცილებელი, მისი ბიოგრაფიის უმთავრესი ეტაპების განხილვა იყო. ამ პროცესში მოხდა შესწავლა ფაქტებისა, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს მისი ინტერესების ფორმირებაზე. გამოჩნდა თუ როგორ ჩაეწერა ალექსანდრე როინაშვილის პიროვნება, XIX საუკუნის ბოლოს არსებული საქართველოს, მძიმე პოლიტიკურ სინამდვილეში, გარემოში, სადაც ეროვნული ინტერესების აღზევებამ შექმნა საზოგადო მოღვაწეთა მთელი პლეადა და შესაბამისად, განსაკუთრებული ეტაპიც საქართველოს ისტორიაში. მის პიროვნებაში გაერთიანდა ფოტოგრაფი, მემატთანე,

სამუზეუმო საქმის ინიციატორი, კოლექციონერი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, შემოქმედი, მეცენატი და საგანმანათლებლო საქმის ერთგული გამგრძელებელი.

ალექსანდრე როინაშვილის ფოტოგრაფიული შემოქმედება მოიცავს უამრავ თემას, თითქმის ყველაფერს, რაც დაკავშირებული იყო იმ ეპოქის ქართულ და კავკასიურ ყოფაცხოვრებასთან, კულტურასთან, ისტორიასთან, ეთნოგრაფიასთან, არქეოლოგიასთან.

მუზეუმი სამეცნიერო-ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენს, რომლის ძირეული კვლევაც აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობისთვის. ეს დანატოვარი დღემდე შესწავლის საგანია. მასში იკითხება მრავალეთნიკური კულტურის ნიშნებიც და კავკასიელი ერების ყოფის ამსახველი ექსპონატები.

თავდაპირველად, მოხდა ალექსანდრე როინაშვილის ფოტოგრაფიული მემკვიდრეობის მოძიება სხვადასხვა მუზეუმებისა და ინსტიტუციების ფონდებში, ასევე კერძო კოლექციებში. ამ მასალის დამუშავებასა და თავმოყრას, მისი შინაარსის შესწავლაც ახლდა თან. დადგინდა თემები, გაირკვა მათი კუთვნილება, მოხდა როინაშვილის ფოტომემკვიდრეობის ერმაკოვისადმი გადაცემის პრობლემური საკითხის გაანალიზება. ამ პროცესში გაჩნდა იურიდიული კონსულტაციების აუცილებლობაც, რამაც თავისთავად მოიტანა თემაში ინტერდისციპლინარული კვლევა, პროფესიონალთა ჩარევის გზით.

დაიწყო უცხოურ ფოტოგრაფიასთან თემატური შედარების პროცესი შემოქმედებითი თვალსაზრისით. შესწავლილ იქნა საარქივო დოკუმენტაცია, მასალა, აღწერები, რის შემდეგაც, დაიწყო ექსპონატთა მოძიებისა და იდენტიფიცირების რთული პროცესი. ამ გზაზე, შეიქმნა მკვლევართა ჯგუფიც.

დამუშავდა როინაშვილის პუბლიცისტური ნაშრომები, გაანალიზდა მათი მნიშვნელობა.~

ალექსანდრე როინაშვილი, მეცენატი და საგანმანათლებლო საქმის ინიციატორი, ასევე ფოტოგრაფიული სკოლის დამაარსებელი იყო. მან დიდი როლი შეასრულა, მოყვარულ ფოტოგრაფთა საზოგადოების დაფუძნებაში და პირველი ფოტოგრაფიული გამოფენის მოწყობაში. შრომაში საჭირო გახდა ამ საქმიანობის ანალიზი და ძიება არსებულ მასალებზე დაყრდნობით, სადაც დიდი მისია შეასრულა პირადმა მიმოწერამ, საარქივო მასალამ, პრესამ, ფაქტებმა, მოყვანილმა სხვადასხვა წყაროებში.

### **ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა განისაზღვრება:**

1. მოცემული მასალის ფაქტობრივი ღირებულებით, დაინტერესებულ მეცნიერთა წრისათვის;
2. ჩატარებული კვლევის საფუძვლიანი და დეტალური შედეგებით, რაც აისახა მოცემულ დასკვნებში;
3. საარქივო მასალისა და ასევე დანართების სახით მოცემული ვიზუალური მასალების მნიშვნელობით, თანამედროვე კვლევების პერსპექტივაში.

### **ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა:**

ნაშრომი მომვალის პერსპექტივების გათვალისწინებით, სამუზეუმო-საარქივო სამუშაოს მეტად ინფორმაციულს გახდის ფოტოგრაფიასთან მიმართებაში, თუ გავითვალისწინებთ მის თემატურ მრავალფეროვნებას, აღწერით სიზუსტეს, ეთნოგრაფიულ და მხატვრულ ღირებულებას.

როინაშვილის სამუზეუმო კოლექციები, თავისთავად წარმოადგენს ღირებულ მასალას. თუმცა, მათი იდენტიფიცირებისას ჩატარებული შრომა, პრაქტიკულად ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციის დიდ ნაწილს მათ შესახებ, სამუზეუმო და საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ საქართველოსა და კავკასიაში.

ინტერესი, რომელსაც ზოგიერთი ამ ექსპონატთაგანი იწვევს, უცხოეთში, შესაძლებელია ასევე გახდეს მომავალი საგამოფენო პროექტების წინაპირობა.

ამ მასალის ირგვლივ, უკვე არსებობს რამდენიმე, 2 ფოტოგრაფიული და 1 სამუზეუმო კოლექციების ამსახველი წიგნი, რაც პრაქტიკულად კვლავ ახალი პროექტების შექმნის საფუძველს იძლევა.

### **ძირითადი დებულებები:**

XIX საუკუნის მეორე ნახევარი, ქართული სინამდვილის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სოციალური, შემოქმედებითი აქტივობის ხანაა. თემაც ამ პროცესებთან კავშირში განიხილებოდა.

ალექსანდრე როინაშვილის პიროვნება, მისი მემკვიდრეობა და ღვაწლი ქართული კულტურის, ისტორიის, საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლის საქმეში, კითხვებს აღარ ბადებს, თუმცა ეს მემკვიდრეობა შენახვის, მოძიების, ახალი ფაქტების დადგენის დიდ საშუალებებს იძლევა.

დღეს, წინამდებარე კვლევა რამდენიმე კომპლექსურ თემას წარმოადგენს. შრომის სიახლე, თეორიულ-ისტორიული მასალის მოზიდვასა და დღევანდელი გადასახედიდან გაანალიზებაშია, რაც საკმაოდ ფართო არეალს უქმნის როგორც სპეციალისტებს, ასევე ისტორიითა და კულტურით დაინტერესებულ საზოგადოებას.

### **ნაშრომის ძირითადი სტრუქტურა**

შრომის სტრუქტურა შემდეგნაირია: ექვსი თავის, შესავალის, მიზნებისა და მეთოდოლოგიის აღწერის, დასკვნის, ბიბლიოგრაფიის ჩამონათვალისაგან, დანართებისგან და ვიზუალური მასალისაგან: ფოტორეპროდუქციები.ნათელი იყო, რომ როინაშვილის მდიდარი მოღვაწეობა, მისი საქმიანობის დაყოფას მოითხოვდა სხვადასხვა სფეროს მიხედვით.

### **თავი პირველი**

#### **ფოტოგრაფია - ახალი შესაძლებლობა და ახალი ხელოვნება**

##### **ა) XIX საუკუნის ფოტოგრაფიის ისტორიის მოკლე მიმოხილვა**

დასაწყისშივე გაკეთდა ანალიზი იმისა, თუ რა მოიტანა ფოტოგრაფიამ, როგორც ახალმა ხელოვნების დარგმა: მისი ხელოვნების დარგად ჩამოყალიბება გარკვეულ პროცესს მოიცავდა, იქმნებოდა სახელოვნებო და სამეცნიერო ჟანრები, დასავლურ ფოტოგრაფიაში იწერებოდა თეორიული ნაშრომები, რომელთა ძირითადი ნაწილიც მოცემულია შრომაში.

##### **ბ) ფოტოგრაფია XIX საუკუნის საქართველოში**

ამ ქვეთავში განხილულია XIX საუკუნის ფოტოგრაფიის ისტორია საქართველოში. ძიება წარიმათა ისტორიული ცნობების მოძიებასა და მათზე დაყრნობით.

გამოსახულების მექანიკური საშუალებით აღბეჭდვის ოსტატები, საქართველოში XIX საუკუნის ორმოციანი წლებიდან ჩნდებიან. ძირითადად ისინი ევროპელები არიან, რომლებიც რუსეთის გავლით ჩამოდიოდნენ და საქართველოში მოღვაწეობდნენ.

1842 წელს, კავკასიაში მინერალური წყლების შესასწავლად ჩამოდის გერმანელი ემიციოსი და ნატურალისტი იული ფრიცშე, რომელსაც თან ახლდა დაგეროტიპის ცნობილი ოსტატი და რუსული ფოტოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სერგეი ლევიცკი.

1840-50-ან წლებში, თბილისში რამოდენიმე კერძო სახელოსნო ჰქონდათ ისეთ ცნობილ დაგეროტიპის ოსტატებს, როგორებიც იყვნენ: ვერნერი, დუბელირი, ტაშერე, ბარტსი, გაუპტსი, კონრადსი და ალექსანდროვსკი. 1846 წლის ნოემბრის გაზეთი „კავკაზი“ იტყობინებოდა, რომ თბილისში ჩამოსულა უცხოელი ვერნერი, რომელიც დაგეროტიპის საშუალებით ახერხებს ნებისმიერი ადამიანისა თუ ნივთის გადმოღებას სურათად.

1856 წელს, თბილისში ჩამოდის და მკვიდრდება ფოტოგრაფი სიმონ მორიცი. ამავე წლის გაზეთი „კავკაზი“, აქვეყნებს ინფორმაციას მისი ფოტოატელიეს გახსნის შესახებ. ფრანგულ სკოლას საქართველოში წარმოადგენდნენ: სერგეი ლევიცკი, ლევ დუბელირი, სიმონ მორიცი, ალექსანდრე ივანიცკი, გრიგორი ნოსტიცი და სხვები. პირველი ფოტოგრაფიული სურათები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, 1858 წელს, ალექსანდრე ივანიცკის მიერ გადაღებული, ძველი თბილისისა და მცხეთის ცალკეული უბნებია.

1857 წელს, კავკასიის მთავარმმართველის, ალექსანდრე ბარიატინსკის განკარგულებით, თბილისში ჩამოდის სამთო საქმის ინჟინერი, სამხედრო პირი და ფოტოგრაფიის საქმის მცოდნე, ალექსანდრე ივანიცკი. 1863 წლის 8 იანვარს, ალექსანდრე ივანიცკის ხელმძღვანელობით გაიხსნა კავკასიის არმიის შტაბის პირველი ფოტოგრაფიული განყოფილება, რომელიც მიზნად ისახავდა ფოტოგრაფიის საშუალებით კავკასიის მხარის შესწავლას, მეფის არმიის სამხედრო პირთა, საწვრთნელ-საომარი მოქმედებებისა და არმიის საყოფაცხოვრებო სურათების დაფიქსირებას. 1867 წლის 2 იანვარს, თბილისში კავკასიის მუზეუმი გაიხსნა. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დიდი ადგილი დაეთმო ფოტოგრაფიულ სურათებს, რომელთა ავტორები ძირითადად კავკასიის არმიის შტაბის ფოტოგრაფები იყვნენ. 1863 წლის პრესაში, ჩნდება ისეთი ფოტოგრაფიული გაერთიანებების დასახელებები, როგორებიცაა: „კავკასიური ფოტოგრაფია“, „ფრანგული ფოტოგრაფია“, „ამიერკავკასიის ფოტოგრაფია“ და სხვ.

საქართველოში, ფოტოგრაფიის დამკვიდრების საქმეში არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამხედრო პირმა, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთმა პირველმა

ფოტომოყვარულმა, გენერალმა, გრაფმა ივანე ნოსტიცმა. მან ფოტოგრაფია მოდურ საქმიანობად აქცია. XIX საუკუნის სამოციან წლებში, თბილისში თავს იყრიან ფოტოგრაფიის ოსტატები: ლუდვიგ გოლდშტეინი, მოსე ლევიტესი, ედუარდ ვესტლი, აბრაამ ნორდშტეინი, ლევ ცეიტლინი, ფიოდორ ხლამოვი და სხვები, რომლებმაც შემოგვინახეს იმ პერიოდის ძველი თბილისი. ფოტოგრაფები შეგირდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობიდან ირჩევდნენ ნიჭიერ ახალგაზრდებს.

1870 წლის ბოლოდან, ფოტოგრაფია თბილისში ხელმისაწვდომ მოვლენად, შემოსავლიან საქმიანობად იქცა. სწორედ ფოტოგრაფიის საშუალებით შეიქმნა მდიდარი ფოტომატიანე. მისი წარმომადგენლები იყვნენ: ალექსანდრე როინაშვილი, დიმიტრი ერმაკოვი, ვლადიმერ ბარკანოვი, ედუარდ ვესტლი, ბორის მიშჩენკო, ალექსანდრე მიხაილოვი, პეტრე განკევიჩი, მელქონ კაჩუხაშვილი, სერგეი მარგულოვი, არუთინ შახბაზიანი, ვასილ როინაშვილი, კოტე ზანისი, ნიკოლოზ საღარაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილია აბულაძე, ვასილ ცხომელიძე, დავით აბაშიძე, ზაქარია ლაბაური, ევტიხ ჟვანია, პირველი ქალი ფოტოგრაფი ნინო ჯორჯაძე, ედუარდ კლარი, უცხოელი მოგზაური და ფოტოგრაფი, ორდენი და მრავალი სხვა.

XIX საუკუნის 70-ანი წლებიდან, ფოტოგრაფია ქართველი თავადაზნაურობისა და სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გატაცებად იქცა. მხატვრები: გიგო გაბაშვილი, დავით გურამიშვილი, კოტე ქავთარაძე, ლევ არტაზოვი, დიმიტრი შევარდნაძე, ინჟინერი იოსებ ანდრონიკაშვილი, ლოტბარი ლადო აღნიაშვილი, პოლიტიკური მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე და მრავალი სხვა გამოჩენილი პიროვნება მოჯადოებული იყო ფოტოგრაფიით. მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, შემდგომში ცნობილი მეცნიერი ივანე ტყემელაშვილი, პირველი იყო, ვინც სამეცნიერო ექსპედიციებისთვის გადაიღო კავკასიისა და კერძოდ საქართველოს ფლორა. საქართველოში მიმდინარე ამ პროცესებმა, თავისი დადებითი შედეგი გამოიღო: ჩვენს ქვეყანაში დაიბადა, მოყვარულ ფოტოგრაფთა გაერთიანების შექმნის იდეა.

1893 წლის 12 აპრილს, ალექსანდრე როინაშვილის ფოტოსახელოსნოში თავი მოიყარეს თბილისელმა ფოტომოყვარულებმა, რომელთა თაოსნობითაც, გადაწყდა დაფუძნებულიყო თბილისის მოყვარულ ფოტოგრაფთა საზოგადოება, რისთვისაც თავდაპირველად შეიქმნა დამფუძნებელთა ჯგუფი.

1896 წლის აპრილში, მოსკოვში ჩატარდა ფოტოგრაფიის საქმის რუსეთში მოღვაწე ფოტოგრაფთა პირველი ყრილობა, რომელზეც თბილისიდან მიიწვიეს მოყვარულ ფოტოგრაფთა საზოგადოების წარმომადგენელი, კონსტანტინე ბარისევიჩი.

საქართველოში ფოტოგრაფიის განვითარებისათვის, ასევე მნიშვნელოვანი თარიღია 1895 წლის 26 თებერვალი, როდესაც თბილისელმა მხატვარმა, ლეო არტაზოვმა, მის მიერ იჯარით აღებული საგამოფენო სივრცის ერთ-ერთი ოთახი, უსასყიდლოდ დაუთმო თბილისელ მოყვარულ ფოტოგრაფებს. ამ დარბაზში, მოყვარულმა ფოტოგრაფებმა 150-მდე ნამუშევარი წარმოადგინეს.

ფოტომოყვარულთა დამოუკიდებელი გამოფენა, 1897 წლის 23 აპრილს გაიხსნა სამხედრო მუზეუმში, რომელზეც პირველი ფოტოგრაფიული ჯილდოები გაიცა.

1901 წელს, თბილისში გაიმართა საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი, საიუბილეო გამოფენა. ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ თბილისში მოღვაწე ფოტოგრაფები, ედუარდ კლარი და კონსტანტინე ზანისი. მის მიერ არის მოწყობილი ნიჟეგოროდის გამოფენის ქართული განყოფილების ექსპოზიცია, ასევე მისი საქმიანობის შედეგად, მოეწყო თბილისის სამხედრო ისტორიული გამოფენაც, რომელიც მხატვრულად გააფორმა სიმონ ესაძესთან ერთად.

ადრეული ფოტოგრაფიის პერიოდი საქართველოში, ამ მაგალითების საფუძველზე ორმხრივად ვითარდება: ერთი მხრივ, ეს პროფესიული ფოტოგრაფიის წინსვლის ეტაპებია, ხოლო მეორე მხრივ, იზრდება ინტერესი ფოტომოყვარულთა მხრიდან, რაც განაპირობებს ამ დარგის როგორც ტექნიკურ წინსვლას, ასევე ხელოვნების დარგად აღიარების პროცესს. ეს პროცესი, 1920 წლამდე პროგრესირებს. ყალიბდება მიმართულებები და ასევე გაერთიანებები. პროფესიონალი ფოტოგრაფები იღებენ სპარსეთში გადახვეწილ ქართველებს, ჭიათურის მარგანცის საბადოებს, რკინიგზის მშენებლობას, პირველ მსოფლიო ომს სამხრეთ კავკასიაში, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და სხვა პოლიტიკური ხასიათის მოძრაობებს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და შემდეგ. პროცესი გრძელდებოდა არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელ საქართველოში. ქუთაისში მოღვაწე ფოტოგრაფები: ვასილ ცხომელიძე, ნიკოლოზ საღარაძე, დავით აბაშიძე, სამსონ დათეშიძე, კოტე ქავთარაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, და სხვები, გაერთიანდნენ ასევე ორგანიზაციაში „ფოტოსხივი“.

როგორც ჩანს, საქართველოში ფოტოგრაფიის განვითარების ადრეულ პერიოდში, ყალიბდება ევროპული ტექნიკის გამოყენების და შემოტანის სისტემა, მკვიდრდება სამხედრო ფოტოკორესპონდენტის პროფესია და სამხედრო რეპორტაჟის ჟანრი. წარმატებით მოღვაწეობენ მოგზაური ფოტოგრაფები. ყოველივე აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ საქართველოშიც ვითარდება ყველა ის უმთავრესი პროცესი, რაც ევროპისთვის არის დამახასიათებელი. იწყება ფოტოგრაფის სპეციალობის დაყოფა და განვითარება, ჩამოყალიბება, სხვადასხვა სფეროში გადანაწილება და რაც მთავარია, ფოტოგრაფები საქართველოში საკუთარ მოვალეობად თვლიან მსოფლიო პროცესებში, ცხელ წერტილებში მონაწილეობას, ქმნიან მატთანეს, ინახავენ კულტურულ მემკვიდრეობას, იღებენ ყოველდღიურობას, ითვისებენ უახლეს ტექნიკას და იყენებენ მას თითქმის ყველა სოციალურ სფეროში.

საქართველოში შეიქმნა კერძო სტუდიები, კავკასიის სამხედრო შტაბის ფოტოგრაფიული განყოფილება, კავკასიის მუზეუმი, მოყვარულ ფოტოგრაფთა საზოგადოება, მოეწყო პირველი ფოტოგამოფენები, დისკუსიები, სხვა ქვეყნებიდან შემოვიდა ფოტოგრაფიული სახელმძღვანელოები. სამწუხაროდ, ამ პერიოდში, ჩვენს ქვეყანაში არ შექმნილა ფოტოგრაფიაზე წიგნი, ან ვრცელი შრომა (გარდა ივანე ტყემელაშვილის ნაშრომისა). რაც შეეხება ისტორიულ წყაროს ფოტოგრაფიის შემოსვლასა და განვითარებაზე საქართველოში, ის ძირითადად პრესის საშუალებით ინახება. ინერგება უახლესი ტექნიკა, ქართველი და არაქართველი ფოტოგრაფები მონაწილეობენ პარიზის, ვენის, ლონდონის საერთაშორისო გამოფენებში, ჯილდოვდებიან სხვადასხვა ფოტოკონკურსებზე. ვითარდება სამხედრო ჟანრი, ფოტოგრაფები აქტიურად იღებენ ფრონტის ხაზს რუსეთ-თურქეთის ომში და ქმნიან სამხედრო მატთანეს, იქმნება საოჯახო ალბომები, ქუჩის რეპორტაჟები, იხვეწება პორტრეტული ჟანრი, მრეწველობის განვითარების ამსახველი სერიები, ქალაქური, ასევე არქიტექტურული იშვიათობების ამსახველი სურათები. საქართველოში მოღვაწე ფოტოგრაფები მოგზაურობენ და იღებენ ირანის, თურქეთის, რუსეთის, შუა აზიის, მთელი კავკასიის, შორეული ქვეყნების სინამდვილეს. ამ მოვლენებმა ხელი შეუწყო ჩვენს ქვეყანაში პროფესიული ფოტოგრაფიის განვითარებას ადრეული ფოტოგრაფიის ხანაში. მათ შექმნეს მატთანე, რომელიც უნიკალურია თავისი მხატვრული, სამეცნიერო, დოკუმენტური და კვლევითი ღირებულებით, დღემდე შესწავლის საგნად რჩება და საქართველოში



ფოტოგრაფიის განვითარების გამორჩეულ სურათს ქმნის. მისი წარმომადგენლები არიან ადრეული ფოტოგრაფიის სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე ფოტოგრაფები: ალექსანდრე როინაშვილი, დიმიტრი ერმაკოვი, ვლადიმერ ბარკანოვი, დიმიტრი ნიკიტინი, ედუარდ კლარი, ნინო ჯორჯაძე, ნიკოლოზ საღარაძე, დავით აბაშიძე, ილია აბულაძე, ვასილ როინაშვილი და სხვები.

ამდენად, XIX საუკუნეში, საქართველოში ფოტოგრაფიის არსებობა ორ ძირითად ეტაპად შეიძლება დავყოთ: საწყისი ეტაპი - 1840-იანიდან 1860-იანის ჩათვლით და 1870-იანი წლებიდან საუკუნის ბოლომდე. განვითარების მეორე ეტაპზე გამოვლენილი თავისებურებანი - უცხოური ფოტოგრაფიის ფორმის ძიებათა ინტეგრაცია საქართველოში და ქართული ეროვნული საწყისის ძიება ფოტოგრაფიაში, გადადის XX საუკუნეშიც. ალექსანდრე როინაშვილი, როგორც ფოტოგრაფი, მეორე ეტაპის უნიშვნელოვანესი წარმომადგენელია.

## თავი მეორე

### ალექსანდრე როინაშვილი ქართული ფოტოგრაფიის სათავეში

#### 2.1. ალექსანდრე როინაშვილის ბიოგრაფია

ძიებამ, მოითხოვა როინაშვილის ბიოგრაფიის დეტალურად შესწავლა და განხილვა ქვეთავში, ვინაიდან ბიოგრაფიული ფაქტები მის ცხოვრებაში განსაზღვრავდნენ შემდგომში მის ინტერესებს სამუზეუმო საქმიანობის, ფოტოგრაფიის, ქვეყნისა და ერის პრობლემების მიმართ.

ალექსანდრე როინაშვილი დაიბადა 1946 წელს, ქალაქ დუშეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დედამ ალექსანდრე თავდაპირველად დუშეთის სასწავლებელში მიაბარა. შემდეგ როინაშვილმა ანანურის სკოლაში განაგრძო სწავლა. ხელმოკლეობის გამო, დედამ ალექსანდრე ჯერ ქალაქ კავკავში წაიყვანა, ხოლო შემდეგ, სხვა ხელობის შესწავლის მიზნით, იგი თბილისში ჩამოიყვანეს.

ალექსანდრე ფერმწერ-ფოტოგრაფ ვიოდორ ხლამოვთან მოეწყო. მალე ის ხლამოვის მარჯვენა ხელიც გახდა. ხლამოვს როინაშვილის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა. 5 წლის მუშაობის შემდეგ, ხლამოვმა მას უსასყიდლოდ გადასცა ფოტოაპარატი,

მასალები და ყველაფერი აუცილებელი, დამოუკიდებელი მუშაობისათვის. 1870-ან წლებში, როინაშვილი უკვე თბილისში, ქალაქის ცენტრში გახსნა საკუთარი ფოტოატელიე, „სასურათხატო“ (როგორც უწოდა ფოტოატელიეს მოსე ჯანაშვილმა).

ალექსანდრე როინაშვილის სასურათხატო ფოტოსტუდია, ქართველ მოღვაწეთა თავმჯდომარის ადგილს წარმოადგენდა, სადაც ხშირად მართავდნენ რეპეტიციებს ქართველი მსახიობები და სცენის მოყვარულები. პრესასა და საარქივო მასალაში, ალექსანდრე როინაშვილის გვარი ხშირად იკითხება, როგორც „როინოვი“, ვინაიდან XIX საუკუნის საქართველოში გვარის გადაკეთება რუსული დაბოლოებით, ბუნებრივად უწყობდა ხელს ყოველივე ქართულის წაშლასა და გადაგვარებას. ძალზე მოკლე დროში, როინაშვილმა ბევრი რამ აითვისა, შეისწავლა და ქართული საზოგადოებისთვის, ურთულეს პერიოდში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პიროვნებად იქცა.

როინაშვილისთვის ფოტოგრაფია შემოსავლის ძირითადი წყაროც გახლდათ და იმავდროულად, მისი შემოქმედებითი ინეტერესების ასპარეზიც, იდეების, ძიებების ხელშეწყობაც და ეროვნულობის გამტარებელიც.

სხვადასხვა პერიოდის ცნობების თანახმად, ბევრ უცხოელს შორის, ერთადერთი ქართველი ფოტოგრაფი ალექსანდრე როინაშვილი იყო, ვისაც საკუთარი სახელოსნო ჰქონდა. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, თუ 1895 წელს, როგორ გაავრცელა მოსახლეობაში მეფე ერეკლეს ფერწერული პორტრეტიდან შექმნილი ფოტო, კრწანისის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით და ყოველივე ეს საკუთარი ხარჯით გააკეთა. ასევე გაავრცელა ფრესკებიდან გადაღებული თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, ფოტოპორტრეტები. განსაკუთრებული დვაწლი მიუძღვის მას შოთა რუსთაველის პორტრეტის აღდგენაში. როინაშვილის მიერ გადაღებული ასლის ფრანგული წყარო, მხატვარ გრიგოლ გაგარინის მიერ გამოცემული ალბომი იყო, მინიატურებიდან გადმოღებული, შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის სურათებით. ალბომი საკმაოდ ძვირი ღირდა და როინაშვილმა გამონახა საშუალება, რათა მოსახლეობაში ცალკე დაბეჭდილი პორტრეტები გაეცემებინა.

პირველი ქართველი ქსილოგრაფი, მხატვარი გრიგოლ ტატიშვილი და ალექსანდრე როინაშვილი ერთად მუშაობდნენ ფრანგულ ჟურნალ “Le Caucase illustre”-ში, რომელიც თბილისში გამოდიოდა 1889-1902 წლებში ჟიულ მურიეს რედაქტორობით. ამ ჟურნალში დაბეჭდილმა ქალის ფოტომ სილამაზის პრიზი დაიმსახურა როინაშვილის გარდაცვალების

შემდეგ. გარდა ამისა, ჟურნალი ინტენსიურად ბეჭდავდა მისი სამუზეუმო კოლექციების ფოტოებს.

1879 წლის 7 ოქტომბერს, ალექსანდრე როინაშვილი დაქორწინდა. ცოლთან გამუდმებული უთანხმოების გამო, მან მოგზაურ ცხოვრებაზე შეაჩერა არჩევანი. გაყრის შემდეგ, 1880 წლიდან, თბილისიდან თელავში გადასულმა ალექსანდრემ, უამრავი ხელისშემშლელი პირობის მიუხედავად, კახეთის ისტორიული ძეგლების ფოტომატიანე შექმნა. 1881 წელს, კახეთიდან დაღესტანში გაემგზავრა და თემირხანშურაში დასახლდა, სადაც 8 წელი დაჰყო. ამ პერიოდში გამძაფრდა და გამოიკვეთა მისი სიყვარული სიძველეთა შეგროვების მიმართ. როინაშვილის საბოლოო მიზანი კი მუზეუმის შექმნა იყო.

დაღესტანში ყოფნისას, მან თითქმის მთელი კავკასიის ისტორიული ძეგლებისა და ხედების, პორტრეტების, მათიანე შექმნა. აგროვებდა ყველაფერს, უნიკალურ არქეოლოგიურ ნივთებს - ქართულს, კავკასიურს, აღმოსავლურს, ევროპულს. დაიწყო მოძრავი მუზეუმის შექმნა, რომლის უნიკალური კოლექციაც, შემდეგ საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა. ამ ეტაპზე, როინაშვილმა უკვე 600 ნივთი შეაგროვა, ხოლო ოდნავ მოგვიანებით, 1887 წლის სარატოვში გამოცემული კავკასიის მოძრავი მუზეუმის კატალოგის მიხედვით, მუზეუმში უკვე 800 ნივთი იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, კატალოგის ბოლოს, როინაშვილი ახსენებს დამატებით ნივთებს, რომელთა ნუსხაც შემდეგ კატალოგში უნდა ასახულიყო. მოძრავი მუზეუმით მან იმოგზაურა დაღესტანში, ასტრახანში, სამარაში, პეტერბურგსა და მოსკოვში. 1880-88 წლებში, ალექსანდრე როინაშვილის კოლექციები იმდენად ცნობილი გახდა, რომ იგი პეტერბურგის საიმპერატორო-არქეოლოგიური საზოგადოების წევრად აირჩიეს.

ალექსანდრე როინაშვილი 1889 წელს, ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და თბილისში, ერევანსკის მოედანზე გახსნა ახალ იფოტოატელიე, სადაც გარდა ფოტოგრაფიული მოწყობილობისა, განათავსა საკუთარი სამუზეუმო კოლექციებიც. ამ დროისათვის, მას სამი ფოტოატელიე ჰქონდა: „სასურათხატო“, „ამხანაგობა“ და „რემბრანდტი“.

ამავე პერიოდიდან, როინაშვილი კიდევ უფრო აქტიურად ერთვება თითქმის ყველა საზოგადოებრივ-სამოქალაქო საქმიანობაში. მისი ინტერესი განსაკუთრებით მძაფრი იყო არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, სახალხო განათლების, ბიბლიოთეკების მიმართ. ყოველთვის

სწირავდა გარკვეულ თანხას უპოვარ ადამიანებს და ეხმარებოდა ნიჭიერ ახალგაზრდებს, განათლების მიღებაში. ერთ-ერთ სახელოსნოსთან, საერთო საცხოვრებელიც გახსნა, სადაც უსასყიდლოდ აცხოვრებდა და ასწავლიდა ფოტოსაქმეს მოწაფეებს. ორ, განსაკუთრებით ნიჭიერ მოწაფეს, ტრიფონ მომცემლიძესა და ვასო როინაშვილს, სპეციალური განათლება მიაღებინა და სასწავლებლად რუსეთში, სამხატვრო აკადემიაში გაამგზავრა.

ალექსანდრე როინაშვილი დიდ დახმარებას უწევდა დიმიტრი ბაქრაძის მიერ დაარსებულ საეკლესიო მუზეუმს, რომელსაც აღარ გააჩნდა საარსებო სახსრები ნივთების მოსავლელად და ხელნაწერთა შესაძენად. გარდა, ამისა, გადაიღო ამ მუზეუმის ექსპონატების ფოტოებიც. ყოველმხრივ ცდილობდა, აეღორძინებინა ტრადიციული ხელსაქმე და აგრძელებდა სამუზეუმო ნივთების შეგროვებასა და მოვლა-პატრონობას.

ალექსანდრე როინაშვილმა, ეროვნული მუზეუმის ასაშენებლად, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მეცენატს, ზუბალაშვილს წერილობით სთხოვა შეეწირა მიწა და ამავდროულად, მუზეუმის პროექტი პაულ შტერნს დაუკვეთა. ფოტო, ამ პროექტის გამოსახულებით დაბეჭდა და მოსახლეობაში გაავრცელა.

ის ძალზე დატვირთული იყო სამუზეუმო და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობით, მაგრამ მაინც ახერხებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (მესხეთში, გურიაში, ქართლში, სხვ.) მოგზაურობას, რიოს შედეგადაც შექმნა ყველაზე ვრცელი ფოტომატიანე საქართველოზე. მოგზაურობისას, საგანმანათლებლო საუბრებს ატარებდა მოსახლეობასთან, ისტორიული ძეგლების მნიშვნელობაზე.

ამ პერიოდში, როინაშვილი უამრავ პუბლიცისტურ წერილს აქვეყნებს საქართველოში ქალთა მდგომარეობის, თავად-აზნაურთა და ინტელიგენციის პასიურობის, მუზეუმის მნიშვნელობის, ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური რეალობის, გლეხობისა და სხვა თემებზე.

1895 წლის თებერვალში, ალექსანდრე როინაშვილის ხელმძღვანელობით, მის ერთ-ერთ ფოტოატელიეში ჩატარდა მოყვარულ ფოტოგრაფთა საზოგადოების კრება. ამავე წელს, საზოგადოებამ მოახერხა მცირე მასშტაბის გამოფენის ორგანიზება, ხოლო 1897 წლის 23 აპრილს, იგივე საზოგადოებამ დიდი გამოფენაც მოაწყო.

1898 წლის 11 მაისს, დუშეთის სამკითხველოსათვის ინვენტარისა და წიგნების გაგზავნის დღეს, ყველასათვის მოულოდნელად, ალექსანდრე როინაშვილი ცუდად გახდა და სამ საათში გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ნეტავ კაცმა იცოდეს, როდის მოკვდებაო“. მისი საფლავის ქვაზე დიდუბის პანთეონში, სადაც ალექსანდრე როინაშვილი ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაიკრძალა, ამოკვეთილია შემდეგი: „სამაგალითო ქველმოქმედს და ქვეყნისათვის სიყვარულით სავსეს - ალექსანდრე როინაშვილს“.

გარდაცვალების შემდეგ, მთელი მისი ქონება და სამუზეუმო კოლექციები ანდერძის თანახმად, გადაეცა საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. როინაშვილის ბიოგრაფიამ, ცხადჰყო, რომ მისმა პიროვნულმა თვისებებმა და მისწრაფებებმა პირდაპირ იქონია გავლენა მის შემოქმედებით მიეხებზე.

## 2.2. ალექსანდრე როინაშვილის ფოტოგრაფიული შემოქმედება და მისი მემკვიდრეობა

შემდეგ ქვეთავში განიხილება მის მიერ განვლილი გზა ფოტოგრაფიაში, ის თუ როგორ შექმნა ალექსანდრე როინაშვილმა ქართული და კავკასიური ფოტომატიანე, როგორ იმუშავა სხვადასხვა თემების, საისტორიო ძეგლების, პორტრეტების, ეთნოგრაფიის, სამუზეუმო ნივთების, სხვადასხვა ქალაქებისა და მოვლენების ამსახველი მოტივების მიმართულებითაც, როგორ შექმნა ქართული საზოგადო და თეატრის მოღვაწეთა ფოტოგალერეა, ყოფის ამსახველი სცენები, არქიტექტურული ფოტოგრაფია, ოჯახური პორტრეტები, გადაიღო ღირებული ასლები ფრესკებიდან. (შოთა რუსთაველი, თამარ მეფე, მეფე ერეკლე და სხვ). ფოტოგრაფია მისთვის საერო საქმედ იქცა, სადაც სამუზეუმო ინტერესსაც კუთვნილი ადგილი მიუჩინა.

ქვეთავი, სახელწოდებით „როინაშვილის მემკვიდრეობა“, მოიცავს მისი ფოტო და სამუზეუმო ნივთების, სიცოცხლეშივე ანდერძის თანახმად, საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გარდაცვალების შემდგომ გადაცემული მემკვიდრეობის საკითხს. აუცილებლობამ მოითხოვა როგორც იურისტის კონსულტაცია და დასაბუთებული არგუმენტების მოყვანა, ასევე საავტორო უფლებების ისტორიის მიმოხილვა, როინაშვილის ნეგატივებისა და ფოტოების ფოტოგრაფ და კოლექციონერ დიმიტრი ერმაკოვისადმი გადაცემის ფაქტის განსახილველად და ნათელსაყოფად. კითხვები ამ ფაქტის

ირგვლივ, ალბათ კვლავაც იარსებებს, მაგრამ ჩემმა ძიებამ, მოვლენების აღდგენის კვალდაკვალ, ამ პროცესის ერთი ნაწილი გასაგები გახადა. პასუხი გაეცა ბევრ კითხვას, და დადგინდა ფოტოგრაფიული მემკვიდრეობის დღევანდელი მდგომარეობაც. აქვე გაჩნდა შესაძლებლობა, როინაშვილის მიერ გადაღებული 240 ფოტოს იდეტიფიცირებისა, რომლის გადაღების ვალდებულებაც დიმიტრი ერმაკოვს გადაეცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ. ნეგატივებიდან გადაღებული ფოტოები, ისევე როგორც შემდეგ განხილული სამუზეუმო ნივთების სია და ზოგიერთი მათგანის ფოტოები, წარმოდგენილია სადისერტაციო ნაშრომში, დანართის სახით, რომელიც აღინიშნება ყველა თავსა და ქვეთავში. ძირითად ტექსტში, შეტანილია მხოლოდ აუცილებელი ჩამონათვალი და ერთეული დოკუმენტის ფოტოასლი.

## თავი მესამე

**ალექსანდრე როინაშვილი - პირველი კერძო მოძრავი მუზეუმის შემქმნელი და სამუზეუმო საქმის ერთ-ერთი ინიციატორი**

### 3.1. სამუზეუმო საქმე XIX საუკუნის საქართველოში

ამ ქვეთავში წარმოდგენილია ჩემს მიერ შესწავლილი და განხილული მასალა, რომელიც ასახავს ამ პერიოდის საქართველოში არსებული სამუზეუმო საქმის პროცესს. ამ პროცესმა თავისი აქტუალობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მიიზიდა ალექსანდრე როინაშვილი. მან ისევე როგორც ფოტოგრაფიულ საქმიანობაში, სამუზეუმო მოღვაწეობაშიც, მთავარი ორიენტირი ეროვნულ ინტერესებს დაუმორჩილა და ფოტოგრაფიის მსგავსად, თავისი სამუზეუმო საქმიანობითა და უჩვეულო ფაქტით, „კავკასიის მოძრავი მუზეუმის“ შექმნით, ქართული ეროვნული საქმის განვითარებასა და პოპულარიზაციას ჩაუყარა საფუძველი. შრომაში გამოვკვეთე ის ფაქტიც, რომ როინაშვილის, როგორც კოლექციონერის ინტერესი არ იყო მიმართული მხოლოდ საქართველოსადმი და ის მთლიან კავკასიურ რეგიონს მოიცავდა. ალექსანდრე როინაშვილი ცდილობდა, რაც შეიძლება ფართო არეალიდან მოეძიებინა იშვიათი ექოპონატები, რაც მუზეუმის საგანმანათლებლო მისიას ზრდიდა.

### 3.1. ალექსანდრე როინაშვილი და მისი სამუზეუმო ნივთების კოლექცია

აქ განვიხილეთ იდენტიფიცირების რთული პროცესი, რომელშიც მონაწილეობდნენ მეცნიერები და სპეციალისტები რეიჩალ ვარდი, ირინა კოშორიძე, მარინა დგებუაძე, მამუკა ქაფიანიძე, გიორგი ლალიძე, ნათია როსტიაშვილი. ნივთების იდენტიფიცირება ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ვინაიდან როგორც შრომაში აღინიშნება, ნივთების სახვადასხვა მუზეუმებში გადანაწილების და რაც მთავარია, როინაშვილის მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის პრობლემებმა, მათი სათანადოდ შენახვა და უსაფრთხოება ვერ უზრუნველჰყო.

კოლექციიდან, შრომაში განხილულია შემდეგი ექსპონატების ჯგუფები: ისლამური ლითონნაკეთობები როინაშვილის კოლექციიდან, ფაიფური და კერამიკული ნივთები, ხელსაქმე, საბრძოლო იარაღი, არქეოლოგიური ექსპონატები. განიხილება ნუმიზმატიკა, ანატომიური იშვიათობანი და ნახსენებია მუსიკალური ინსტრუმენტები, სამოსის ელემენტები, ეთნოგრაფიული ნივთები. თუმცა, სიისა და დეტალების სახით, გაანალიზებულია მხოლოდ იდენტიფიცირებული ჯგუფები. როინაშვილის სამუზეუმო კოლექციაში, უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს აღმოსავლურ ექსპონატებს, რომელთა უმრავლესობა, ისლამური წარმოშობისაა.

ერთ-ერთი ცნობილი ექსპონატი, დოქი ბასრადან, როინაშვილის ფოტოებზეც გახლავთ წარმოდგენილი, ვინაიდან ალექსანდრე როინაშვილი მას აქსესუარადაც იყენებდა ინტერიერში. როგორც უკვე აღინიშნა, დოქი გამორჩეული ექსპონატია. მის არშიაზე განთავსებულია წარწერა, მელითონე იბნ იაზიდის სახელით და აღინიშნება, რომ ნივთი ქალაქ ბასრაში შეიქმნა 69 წელს (AD688-9). დოქი გრავირებული თითბერისაგანაა დამზადებული და იმდენად კარგადაა შემონახული, რომ მეცნიერები ეჭვობდნენ კიდევაც, მასზე აღნიშნული ადრეული თარიღის გამო. იგივე კოლექციაში ინახება ქვაბი, რომელზეც იკითხება აბუ ბაქრ ბ. აჰმად მარვაზის ხელმოწერა. ასეთ ქვაბებს, სავარაუდოდ საექსპორტოდაც აწარმოებდნენ.

წარმოშობითა და ხელოსნობით გამორჩეულ ნიმუშებს შორისაა, გრავირებული და ასევე ინკრუსტირებული ებრაულწარწერებიანი ფირფიტებისაგან გაკეთებული სარწყული. რაოდენობის მხრივ, ყაჯარული პერიოდის ნიმუშებს, კიდევ უფრო აღემატება ილხანური პერიოდის ლითონნაკეთობები. კოლექციის ეს ნაწილი შედგება დიდი ტაშტების, ლანგრების, დოქებისა და შანდლებისაგან. სამეფო კარის იკონოგრაფიის საფუძველზე, ისინი

მიეკუთვნებიან ლითონნაკეთობათა სახელოსნოს, რომელიც სავარაუდოდ თავრიზში, ილხანთა ადმინისტრაციულ ცენტრში იყო განთავსებული.

ალექსანდრე როინაშვილის სამუზეუმო კოლექციის ლითონნაკეთობათა ნაწილი, დიდ ინტერესს ბადებს სამეცნიერო წრეებში თავისი წარმოშობის, დათარიღებისა (VII საუკუნიდან, XIX ჩათვლით) და უნიკალური ფორმის თვალსაზრისით.

კოლექციაში ცალკე ადგილი უჭირავს ფაიფურისა და კერამიკის ნაკეთობებს, რომელთა შორის აღმოსავლეთის, ჩინეთისა და იაპონიის ნივთები გამოირჩევა. ექპონატები გამოირჩევიან თავისი მხატვრული ფორმითა და ისტორიული მნიშვნელობით.

ალექსანდრე როინაშვილის კოლექციაში, იქცევის იქცევენ ჩინური წარმოშობის ფაიფურის, ე.წ. სელადონის თევზები, რომელთა რაოდენობა, როინაშვილის კატალოგის მიხედვით გახლავთ 15, (XIV - დან, XIX საუკუნეების ჩათვლით), თუმცა დღეს აქედან 6 თევზია შემორჩენილი.

სამი ნივთი ფაიფურის კოლექციიდან, რომელიც უძვირფასეს ნიმუშებს წარმოგვიდგენს, მიეკუთვნება მინგ-ის დინასტიის მმართველობის პერიოდს. პირველი მათგანი სპილოს ფორმის სასმისია და ქენდი ჰქვია. შემდეგი ორი ნივთია ჩაიდანი და თასი. ორივე მათგანს გამოარჩევს კობალტის ჭიქურქვეშა მოხატულობა. ფაიფურის კოლექციაში კიდევ 9 ნივთი გვხვდება, რომელთა დანიშნულებაც სავარაუდოდ საექსპორტოა. თასები და ლარნაკები მკვეთრი ფერებითა და იდილიური პეიზაჟებით ხასიათდება.

იაპონურ ნიმუშებში ყურადსაღებია გეომეტრიული ფორმები და მცენარეული ორნამენტები, (XIX საუკუნე) ცხოველები, ფრინველები, ასევე ტრადიციულ სამოსში გამოწყობილ იაპონელთა ფიგურები, არქიტექტურულ ფონზე.

ფაიფურის კოლექციაში გვხვდება დაღესტნური ნაკეთობანი, თევზები, სახელწოდებით „ისპიკი“ (XIX საუკუნე). ასევე მრავლადაა წარმოდგენილი ირანული ფაიფურის ნიმუშები.

ალექსანდრე როინაშვილის სამუზეუმო კოლექციაში, ცალკე განხილვის საგანი უნდა იყოს ნუმისმატიური ნიმუშები. თუმცა, აქედანვე აღვნიშნავ, რომ მათი მოძიება დღევანდელ დღეს, თითქმის შეუძლებელია. ნუმისმატიკის შესახებ ინფორმაცია ძალზე შეზღუდულია. ზუსტი აღწერა კი მხოლოდ დედოფალ რუსუდანის, თამარის დროინდელ მონეტებზე და ალექსანდრე ხახანაშვილის დახასიათებით, რამდენიმე მონეტაზე ვრცელდება.



ფოტოზე, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშია გადაღებული, კარგად ჩანს ორიგინალური ფორმის ვიტრინა, რომელშიც ფოტოს გადიდების შემდეგ, გამოჩნდა მონეტები, თუმცა სხვა რამ ინფორმაციას მათ შესახებ, ჯერჯერობით ვერ მივაგენი. ამგვარად, იდენტიფიცირების პროცესში, ყველაზე დიდი პრობლემა, სწორედ ნუმისმატურ ნაშთებთან დაკავშირებით შეიქმნა.

აღსანიშნავია როინაშვილის ქსოვილების კოლექციის სიმდიდრე, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის არქივებში, სადაც მის მიერ გადაღებულ ფოტოებზე ვხედავთ სხვადასხვა ეპოქისა და წარმოშობის ქსოვილებს, ხალიჩეულობას, ქალის სამკაულს, ქალისა და მამაკაცის სამოსს, დეტალებს, აქსესუარებს. 25 ფოტოზე, წარმოდგენილია სპარსული და კავკასიური ხალიჩები, კავკასიური ჯეჯიმები, ქართული და კავკასიური ხურჯინები, კავკასიური მუთაქები, სპარსული წარმოშობის ვერნი, აბრეშუმის ძაფის ნიმუშები, ოქრომკედით ნაქარგი მუთაქისა და ბალიშის გადასაკრავები, ქალის შუბლსაკრავები, ოქრომკედით ნაქარგი ხავერდის სუფრები, პირსახოცები, ქართული ლეჩაქები და ფერადი ძაფით ნაქარგი სუფრები, ოქრომკედით ნაქარგი ქართული კაბის აქსესუარები. კოლექცია ძალზე მრავალფეროვანია თავისი წარმოშობით, შესრულების ტექნიკითა და დანიშნულებით.

ფოტოზე, რომელზეც გამოსახულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი ოთახი, როინაშვილის მიერ ნაანდერძევ სხვა სამუზეუმო ნივთებთან ერთად, კარგად მოჩანს საბრძოლო იარაღი. ძირითადი ნაწილი ამ ნივთებისა, ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში. კვლევის პროცესში, იდენტიფიცირებულია 41 საბრძოლო და არქეოლოგიური ნივთი, რომლებიც ალექსანდრე როინაშვილს უნდა ეკუთვნოდეს.

ყველა ეს ნივთი განსაკუთრებით ფასეულია, თუმცა მაინც შეიძლება ყურადღება გავამახვილოთ მუზარადებზე, როგორც საბრძოლო ატრიბუტიკის ოსტატობის ნიმუშებზე. არანაკლებ საყურადღებოა ხევსურული ჯაჭვის პერანგები, რომლებიც ასევე მოჩანს კოლექციის ამსახველ ფოტოზე. სწორედ ამ პერანგებს იყენებდა როინაშვილი ხევსურების ფოტოების შექმნისას. ასევე მნიშვნელოვანია ქართული წარმოშობის ხის ფარი. ეს ექსპონატი უნიკალური ნიმუშია. ალექსანდრე როინაშვილის კოლექციიდან სულ 5 ფარის იდენტიფიცირება მოხდა, რომელთაგან ზოგი ტყავისაა ზოგი კი სპილენძის, რაჭული,

ხევსურული და სპარსული წარმოშობის. ისინი XVI-XIX საუკუნეებით თარიღდება. სხვადასხვა იარაღებს შორის, ხმალ-ხანჯალში, გამოირჩევა იაპონური ხმალი და ორლულიანი სანადირო თოფი, რომელიც დამზადებულია XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

საბრძოლო იარაღის კოლექციის მიხედვითაც შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე როინაშვილი არ იყო ორიენტირებული ერთ რომელიმე რეგიონზე. როგორც ჩანს, ის სხვადასხვა ქვეყნის ისტორიული ნაშთების შეგროვებას ცდილობდა და დიდ ყურადღებას უთმობდა ნივთების გარეგნულ სახეს, ინფორმაციას მათ შესახებ, მათ მორთულობას, დამუშავებას, ტექნიკას და სხვ.

გარდა ამისა, როინაშვილის კოლექციებიდან, აღსანიშნავია ხელნაწერები, (ბაქარიანი და ფარსადან გორგიჯანიძის ხელნაწერი).

### **თავი მეოთხე**

#### **ალექსანდრე როინაშვილი - ქველმოქმედი და პირველი ფოტოგრაფიული სკოლის შემქმნელი საქართველოში**

კვლევამ დაასაბუთა როინაშვილის, როგორც მრავალმხრივი ქველმოქმედისა და ფოტოგრაფიული სკოლის დამფუძნებლის მოღვაწეობის მნიშვნელობა. მის მიერ აღზრდილი ფოტოგრაფები, მისი გარდაცვალების შემდეგაც აქტიურად აგრძელებდნენ მუშაობას საქართველოს მასშტაბით, ხოლო ზოგიერთი მათგანი, კავკასიაში, კერძოდ დაღესტანშიც მოღვაწეობდა.

როინაშვილი ყველა ეროვნული საქმის ავანგარდში იმყოფებოდა: საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში, ერთ-ერთი წამყვანი და გამორჩეული ფიგურა იყო, ხელს უწყობდა ბიბლიოთეკების დაარსებას, რისი მეშვეობითაც, საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა, ხელი შეუწყო ქართული თეატრის განვითარებას, ქართული ტრადიციული ხელსაქმის აღდგენას, რაც აგრეთვე ეროვნულობის შენარჩუნებასა და სიახლის დამკვიდრებაში აისახა.

ყოველივე ამის საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, რომ როინაშვილი XIX საუკუნის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო პროცესის ავანგარდში მოღვაწე, გამორჩეული ფიგურაა, რომელმაც თავისი მრავალმხრივი და ხანმოკლე მოღვაწეობით, იმ პერიოდის საქართველოსთვის, ყველაზე აუცილებელ სფეროებში მოახერხა სიახლის დამკვიდრება, ძველის შენარჩუნება, არსებული კულტურული ფასეულობების შენახვა და საჯაროდ გამოტანა. სწორედ როინაშვილი გახლდათ ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ბოლომდე სრულფასოვნად გაიაზრა მუზეუმის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისათვის, ფოტოგრაფია ერის ისტორიის სამსახურში ჩააყენა და შექმნა ფოტოგრაფიის პროფესიული სკოლა, რომელმაც უკვე როინაშვილის მიერ დანერგილ ტრადიციებზე განაგრძო განვითარება.

როინაშვილმა პირველმა გახსნა სკოლა საერთო საცხოვრებლით, სადაც მოსწავლეებს უსასყიდლოდ აცხოვრებდა და ასწავლიდა ფოტოგრაფიას. მის მოსწავლეებს შორის იყვნენ საქართველოში მცხოვრები ქართველები, სომხები, დაღესტნელები. როინაშვილი გარდა ხელობისა, მათ ურთიერთობასაც ასწავლიდა. თავის ერთ-ერთ ამოცანად დაისახა ხელმოკლე ოჯახებიდან წამოსული ნიჭიერი ბავშვებისათვის განათლების მიცემა, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. სკოლაში 15-მდე მოწაფე ჰყავდა: ივანე გუნცაძე, ვასილ როინაშვილი, ძმები ნორდშტეინები, ილია აბულაძე და სხვანი.

ფოტოგრაფიული სკოლის შექმნა, იმ პერიოდის საქართველოს სოციალური სინამდვილისათვის, დიდ მნიშვნელობას იძენდა. საქმე იმაშია, რომ როინაშვილის სკოლა მრავალჟანრობრივი იყო: პორტრეტის, პეიზაჟის, ხედების, მოვლენათა აღწერის, ისტორიული ძეგლების, არქიტექტურული დეტალების, ასლების კეთების ტრადიცია, შეგირდებშიც განავითარა. ამიტომ, მის მიერ ჩაყრილმა საფუძველმა, შესაძლებელი გახადა, კვლევისას, ნათელი სურათი დავინახოთ XIX საუკუნის ბოლოსა და შემდეგ უკვე, ფოტოგრაფიული სკოლის წარმომადგენელთა მიერ შექმნილ, XX საუკუნის სოციალურ სინამდვილეზე საქართველოში.

## თავი მეხუთე

### ალექსანდრე როინაშვილი - პუბლიცისტი

ალექსანდრე როინაშვილს გამოქვეყნებული აქვს მრავალი პუბლიცისტური წერილი, რომელთა შინაარსი ასახავს მის დამოკიდებულებას საქართველოში არსებული მოვლენების, სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილის, აგრარული და კულტურული მემკვიდრეობის პრობლემების, სამუზეუმო და ქალთა, ასევე გლეხობის, თავად-აზნაურობის ფუნქციების შესახებ. ის წერს ასევე სამუზეუმო საქმიანობასთან დაკავშირებით, აქვს მიმოწერა ისტორიკოსებთან, სფეროს სპეციალისტებთან, საზოგადო მოღვაწეებთან. ამ თავში, კარგად ჩნდება მისი, როგორც XIX საუკუნის ეროვნული და საზოგადოებრივი მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის სააზროვნო არეალი, დამოკიდებულება ყოფისა და ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მიმართ. ეს საკმაოდ დიდი მასალაა და აუცილებელი გახდა მისი გადარჩევა, გამორჩევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წერილებისა.

### თავი მეექვსე

#### ალექსანდრე როინაშვილის გარდაცვალება და რეზონანსი, რომელიც ამ ფაქტს მოჰყვა

როინაშვილის ცნობილი თანამედროვენი და საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, პოეტები, მსახიობები, მეცნიერები, ბევრს წერდნენ მისი პიროვნებისა და საზოგადოებრივ-ეროვნული საქმიანობის შესახებ. ის სიცოცხლეშივე გახდა თანამედროვეთა მიერ აღიარებული, მნიშვნელოვანი ფიგურა XIX საუკუნის საქართველოსათვის და ამის დამადასტურებელი ფაქტები მოყვანილია შრომაში როგორც წერილების, ასევე საგაზეთო პუბლიკაციების, ილიას სიტყვების, დაკრძალვის ქრონიკის, ასევე მისი დიდუბის პანთეონში დაკრძალვის ფაქტის სახით.

1898 წლის 11 მაისს ალექსანდრე როინაშვილის გარდაცვალებამ, საქართველოში ძალზე დიდი რეზონანსი გამოიწვია. ალექსანდრე როინაშვილის დამსახურებები ყველა სფეროში, სადაც კი ქვეყანას სჭირდებოდა, საზოგადოებამ კარგად იცოდა და შესაბამისად, აფასებდა

კიდევ მას, როგორც მრავალმხრივ გამორჩეულ პიროვნებას, სამუზეუმო საქმის ინიციატორს, ფოტოგრაფიული სკოლის შემქმნელს, მეცენატს, მკვლევარს, ტრადიციული ხელსაქმის ხელშემწყობსა და ქველმოქმედს, სამეურნეო და სოციალური პრობლემების აქტიურ თანამონაწილეს, იდეებისა და პრაქტიკული დახმარების მომხრეს, ადამიანს, რომელიც ყოველთვის საქმით ამტკიცებდა თავის დამოკიდებულებას საერო და საქვეყნო პრობლემების გადაჭრაში.

არქივებსა და სხვადასხვა მასალებში, ჟურნალ-გაზეთებში ინახება დიდი რაოდენობით წერილები, გამომხატურებები, მწუხარებითა და როინაშვილის ღვაწლის ცოდნით აღსავსე სტრიქონები, სადაც ავტორები დარდთან ერთად, როინაშვილის პიროვნების მნიშვნელობაზე საუბრობენ. ნეკროლოგებს შორის, გამოირჩევა ილია ჭავჭავაძის, მოსე ჯანაშვილის, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის, სხვა საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევი, როინაშვილის შესახებ.

სამძიმრის წერილები იბეჭდებოდა საქარველოს ყველა კუთხიდან, ქალაქიდან და ასევე სხვა ქვეყნებიდან: ბაქოდან, ერევნიდან, მოსკოვიდან და ასე შემდეგ. გაზეთები „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“ დაწვრილებით აღწერდა აქვეყნებდნენ ცნობებს, ნეკროლოგებს, როინაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით... რომ არ არსებობდეს ნათელი დოკუმენტები როინაშვილის მოღვაწეობის შესახებ, ეს წერილებიც კი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რათა დაგვეჩინა, როინაშვილის საქმიანობისა და ცხოვრების ყველა დეტალი, მისი მნიშვნელობა ქვეყნის და ერის საქმეში. აღმოჩნდა, რომ გარდაცვალებაც და ამ ფაქტით გამოწვეული რეზონანსიც, მნიშვნელოვანი იყო იმ პერიოდის ქართული საზოგადოების ცნობიერების გამოსაფხიზლებლად და ადამიანთა ნების გასაერთიანებლად საქვეყნო ინტერესებისათვის.

როინაშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, მოქანდაკე ანჯელო ანდრიოლეტოს დაუკვეთა სამი ძეგლი: ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე როინაშვილის და დიმიტრი ბაქრაძისა. ეს ძეგლი დღესაც დგას დიდუბის პანთეონში ცნობილი წარწერით:

„სამაგალითო ქველმოქმედს და ქვეყნისთვის სიყვარულით სავსეს - ალექსანდრე როინაშვილს“.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სადისერტაციო კვლევის შედეგად შეიქმნა, ალექსანდრე როინაშვილის მუზეუმისთვის განკუთვნილი კოლექციების და მისი ფოტოგრაფიის მნიშვნელობის ამსახველი ნაშრომი. ალექსანდრე როინაშვილის ფოტოგრაფიული შემოქმედება მოიცავს უამრავ თემას, თითქმის ყველაფერს, რაც დაკავშირებული იყო იმ ეპოქის ქართულ ყოფა-ცხოვრებასთან, კულტურასთან, ისტორიასთან, ეთნოგრაფიასთან, არქეოლოგიასთან. როინაშვილის ფოტოგრაფია თავისთავად ფასდაუდები მასალაა. მისი ფოტოების თემატიკა უკავშირდება იმ ეპოქის ქართულ და კავკასიურ ყოფა-ცხოვრებას, კულტურას, ისტორიას, ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას. მან შექმნა თავისი ეპოქის ადამიანების პორტრეტთა მთელი გალერეა. მისი ფოტოგრაფია, გარდა ისტორიული მნიშვნელობისა, მხატვრული ღირებულების მატარებელია. როინაშვილის ფოტოები დავაჯგუფეთ რამდენიმე ჟანრად:

ა) ხედები ქვეყნების, მხარეებისა და ქალაქების, რომელშიც შედის არქიტექტურული ფოტოგრაფიაც; ეს მოიცავს საქართველოს, ზოგადად კავკასიის, შუა აზიის - სხვადასხვა მხარეების, სოფლების, დაბებს, საქათველოსა და სომხეთს შუა საუკუნეების ეკლესიების და სხავ შენობებს ფოტოებს; ცალკე შეიძლება გამოვყოთ თბილისისადმი მიძღვნილი ფოტოები.

ბ) ხელოვნების ნიმუშების რეპროდუქციები (რუსთაველი, ფრესკები, ისტორიულ პიროვნებათა სურათების ფოტოპირები);

გ) სამუზეუმო ნივთების ფოტოები, რომელშიც შედის ნატურმორტის ჟანრიც;

დ) ყოფით-ეთნოგრაფიული ფოტოები, ეთნოტიპები; ეს ერთგვარი „ყოფითი პორტრეტები“, სოციალური ფენის სხვადასხვა წარმომადგენელთა საქმიანობას ასახავს და ამით ახასიათებს ყოველ მათგანს.

ე) პორტრეტის ჟანრი ქვეჯგუფებად იყოფა: კონკრეტული პირების, საზოგადო მოღვაწეების პორტრეტები, მსახიობები. ჯგუფური (მათ შორის ოჯახური) პორტრეტები, რომელთა უმრავლესობა სტუდიის გარეთაა შესრულებული;

ალექსანდრე როინაშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისი ფოტოგრაფიული და სამუზეუმო მემკვიდრეობა, ანდერძის თანახმად, გადაეცა საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

ალექსანდრე როინაშვილის კიდევ ერთი დიდი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე არის მოძრავი კავკასიური მუზეუმის დაფუძნება. ამკარაა, რომ მუზეუმი სამეცნიერო-ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენს, რომლის ძირეული კვლევაც აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობისთვის. ჩვენ მიერ მოხდა მოძიება როინაშვილის მოძრავი მუზეუმის ექსპონატებისა, რომლებიც დღეს არსებულ სხვადასხვა მუზეუმში ინახება. ჩვენ დავინახეთ, რომ მის მიერ შეგროვილი მასალა და ექსპონატები მრავალფეროვანია. მასში იკითხება მრავალეთნიკური კულტურის ჩვენების, წარმოჩენისადმი ინტერესი. აქ არის არა მხოლოდ ქართული, არამედ კავკასიელი ერების ყოფის ამსახველი ექსპონატები.

გარდა კავკასიურისა, როინაშვილის კოლექციაში შენახულია კავკასიის ტერიტორიაზე მოპოვებული არაბული, სპარსული, ებრაული, ჩინური, იაპონური, რომაული, ნივთები. ასეთი აღმოჩენები დიდი კვლევითი რეზონანსის საბაზი გახდა. კოლექცია არ შეგროვებულა შემთხვევითობების წყალობით. როინაშვილი საქმის ცოდნით, მიზანდასახულად არჩევდა ნივთებს და ქმნიდა ფოტოარქივს, რომელმაც ისტორიის ვიზუალიზაცია მოახდინა. კვლევამ წარმოაჩინა ამ მასალის მნიშვნელობა, თუ როგორ გაიზარდა კავკასიური მუზეუმის აქტუალობა, დროსთან ერთად. თითოეული მისი ქმედება გამიზნული იყო ეროვნული კულტურის და ისტორიის პოპულარიზაციისათვის.

როინაშვილის მოძრავ მუზეუმს, როგორც ითქვა, შეუცვლელი საგანმანათლებლო მისიაც ეკისრებოდა. მისი ფოტოგრაფია, გარდა ისტორიული მნიშვნელობისა, მხატვრული ღირებულების მატარებელია. ინტერესი ამ ორი ძირითადი მახასიათებლის მიმართ დღეს იზრდება, ვინაიდან დროსთან ერთად სულ უფრო იკვეთება მათი მნიშვნელობა. მისი სამუზეუმო საქმიანობის კოლექციების სიახლე და აქტუალობა იზრდება იმასთან ერთად, თუ როგორ მიმდინარეობდა მათი იდენტიფიცირება და კვლავ სააშკარაოზე გამოტანა. ეს მასალა, თავის მხრივ მეტყველებს საქართველოს მრავალმხრივი ეროვნული კულტურის და ამ კულტურაში შემოსული სხვა ეროვნული მემკვიდრეობის შესახებ.

როინაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა გააცნობიერა მუზეუმის დანიშნულება. ამ კუთხით, პირველი ქართული ფოტოგრაფიული სკოლის და პირველი კავკასიური მოძრავი მუზეუმის შემქმნელის, სამუზეუმო ნივთების კოლექციონერის შემოქმედება, ჯერ არ ყოფილა გამოკვლეული. ჩემს მიერ დამუშავებული მასალა ალექსანდრე როინაშვილის ნაღვაწს მიეძღვნა, მაგრამ ანალიტიკური ჩამოთვლა-კვლევა აქამდე არ მომხდარა.

საქართველოში როინაშვილის მემკვიდრეობას უდაოდ ეყოლება მკვლევარები მეცნიერებაში, სამუზეუმო საქმიანობაში და ფოტოგრაფიაში. ამიტომ ვთვლი, რომ შემგომში ამ თემით დაინტერესებამ ყველა ეს მიმართულება უნდა მოიცვას და მისი როლი შეუცვლელი იქნება ნებისმიერი კვლევის წარმოებისას.

ასევე სხვადასხვა მიმართულებით ჩამოყალიბდა ალექსანდრე როინაშვილის სამუზეუმო კოლექციების დანიშნულება. მათი უმრავლესობა არ უკავშირდება დღეს მხოლოდ ქართულ სინამდვილეს. გამოიკვეთა და დადგინდა აღმოსავლეთისა და ევროპის გასაყარზე მყოფი ქვეყნის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა.

კვლევამ გამოავლინა როინაშვილის საქმიანობის მრავალმხრივობა სამუზეუმო მოღვაწეობაში: კოლექციონერი, მკვლევარი, ქართულ-კავკასიური კოლექციის და სამუზეუმო კატალოგის ერთ-ერთი შემქმნელი, სამუზეუმო კულტურით დაინტერესებული, იმ პერიოდის რუსეთსა და საქართველოში საისტორიო წრეებში მიღებული პიროვნება, როინაშვილი, დაუღალავად განავითარებდა თავის ძიებებს ამ მხრივაც.

ამდენად, ქართულ კულტურაში ალექსანდრე როინაშვილის ფიგურა წარმოგვიდგება როგორც ორი მნიშვნელოვანი საქმის მამამთავარისა: ის გვევლინება პირველ ქართველ ფოტოგრაფად და ასევე, პირველ კერძო, მოძრავი მუზეუმის დამფუძნებელად. ის იყო ამ მუზეუმის არა მხოლოდ მფლობელი, კოლექციონერი, სამუზეუმო საქმის პოპულარიზაციის მოთავე, არამედ საგანმანათლებლო პროცესის ინიციატორი: მან მუზეუმი საგანმანათლებლო მისიით აღჭურვა.

კვლევამ გამოავლინა ალექსანდრე როინაშვილის როგორც, ფოტოგრაფის, საზოგადო მოღვაწისა და სამუზეუმო საქმის ინიციატორის საქმიანობის მნიშვნელობა. აქცენტი ორი მიმართულებით გაკეთდა: ორივე ისტორიის მემკვიდრის პორტრეტით შეიქმნა: ერთი - ალექსანდრე როინაშვილი ფოტოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და ალექსანდრე როინაშვილი - სამუზეუმო კოლექციების შემგროვებელი.

#### **დისერტაციას დანართების სახით ერთვის:**

1. ალ. როინაშვილის მემკვიდრეობის აღწერა - ქონება, ანტიკვარული ნივთები, ფოტოგრაფია. საქართველოში ფოტოგრაფიის განვითარების საარქივო მასალები.



2. ალ. როინაშვილის მემკვიდრეობის ზოგიერთი ნივთისა და ფოტოაპარატურის გასხვისების დოკუმენტები.
3. ალ. როინაშვილის კავკასიის მოძრავი მუზეუმის მცირე კატალოგი რუსულ ენაზე - დედანის ასლი.
4. ალ. როინაშვილისა და ალექსეი ბობრინსკის მიმოწერა. როინაშვილის გარდაცვალების შემდგომი რეზონანსის ამსახველი პრესის მასალები
5. ფოტოები და დოკუმენტი, როინოვ-ერმაკოვის ხელმოწერებით. საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან.
6. ალ. როინაშვილის პუბლიცისტური წერილი მუზეუმზე.
7. ალექსანდრე როინაშვილის წერილი კუბაჩელებზე. 1885 წელი 15 დეკემბერი.
8. პრესა ალ. როინაშვილზე
9. კვლევაში გამოყენებული საარქივო მასალის ამსახველი, ერთიანი დანართი.
10. იდენტიფიცირებული ექსპონატები ალ. როინაშვილის კავკასიის მოძრავი მუზეუმიდან
11. ალ. როინაშვილის 240 ფოტო და სიები, გადაღებული ერმაკოვის მიერ, საინვენტარო დავთარი 17.

**დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომების ნუსხა:**

1. პირველი ქართველი მესურათხატე ალექსანდრე როინაშვილი, წიგნი I გამომცემლობა „ლიტერა“, თბილისი, 2004
2. პირველი ქართველი მესურათხატე ალექსანდრე როინაშვილი, წიგნი II გამომცემლობა „ლიტერა“, თბილისი, 2007
3. დადიანები, (წიგნი დაიბეჭდა სამხრეთ-კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის მხარდაჭერით), თბილისი, 2011

4. ფოტოებზე აღბეჭდილი ისტორია. ჟურნალი „მუზეუმი“, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, № 2, 2013
5. Masters of 19-th Century Photography Dimitri Ermakov Photographer and Collector. Georgian National Museum, Horizon Foundation, in Naarden, 2014
6. პირველი ქართველი მესურათხატე, ალექსანდრე როინაშვილი დამისი მუზეუმი წიგნი III გამომცემლობა „დამანი“ თბილისი, 2015
7. ქართველი ქალის თვალთ დანახული პირველი მსოფლიო ომი, ნინო ჯორჯაძე გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2015
8. ალექსანდრე როინაშვილი ქართული ფოტოგრაფიის ავანგარდში - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კონფერენცია, „ტრადიცია და ავანგარდი“, 2015.
9. ალექსანდრე როინაშვილის მოძრავი კავკასიური მუზეუმი, - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი „სათავეებთან“, სამეცნიერო კონფერენცია, 2016.
10. ალექსანდრე როინაშვილი, ფოტოგრაფი, მეცენატი და სამუზეუმო საქმის კოლექციონერი - საერთაშორისო კონფერენცია „ლიტერატურა, მუსიკა და კულტურული მემკვიდრეობა“ ICLM/ICOM. 2015. International Committee for Literary Museums ICLM. Literature, Music and Cultural Heritage. Proceedings of the ICLM Annual Conference 2015. Edited by the Board of ICLM. ICOM, Paris, Yasnaya Polyana Publishing House. 2016
11. ალექსანდრე როინაშვილის პირველი კავკასიური მოძრავი მუზეუმი - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მესამე სამეცნიერო კონფერენცია „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“ 2016.
12. ალექსანდრე როინაშვილი - პუბლიცისტი. სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი № 4 (69) 2016
13. ალექსანდრე როინაშვილი XIX საუკუნის რჩეული. სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი № 3 (72) 201





ილ.5 ვარძია



ილ.6 საგარა



ილ.7 ავლაზრის ხეობა



ილ.8 თათრის მაყდანი



ილ. 9 ბარბარე ჩოლოყაშვილი-  
ბარათაშვილისა




ილ. 10 ვალერიან გუნია



ილ. 11 ქართველი მამაკაცი



ილ. 12 ქართველი მამაკაცი  
ბასრას დოქით



ილ. 13 დაღესტანი



ილ. 14 დაღესტანი



ილ. 15 დაღესტანი, ავარელი ქალი



ილ.16 დაღესტანი, მთის ებრაელები





ილ. 17 სომხეთი, დანგრეული ტაძარი



ილ. 18 შუა აზია. კოკანი. ხუდაიარ-ხანის მედრესე



ილ. 19, 20. ალ. როინაშვილის სამუზეუმო ნივთები



ილ. 21 ალექსანდრე როინაშვილის სამუზეუმო კოლექცია ქართველთა შორის  
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში